



**სასკოლო კვების პროგრამის დანერგვის
შესაძლებლობები საქართველოში არსებული
სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით**

აპრილი, 2024
www.cciir.ge

შინაარსი

სოციალური მდგომარეობა საქართველოში

სოციალური დახმარების მიზნობრივ პროგრამაში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის (6-18) ბავშვები

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ბავშვთა კეთილდღეობის კვლევა / რატომ ვერ იკვებებიან ბავშვები სასკოლო საათებში

სასკოლო კვების მოდელის დანერგვა (სხვადასხვა შეთავაზებული მოდელის მორგება არსებულ გამოწვევებთან და საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტთან)


სოციალური მდგომარეობა საქართველოში

საქართველოში სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა და ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში საკმაოდ მაღალია. სოციალური დახმარების პაკეტის მიმღები ოჯახების რაოდენობა 2023 წელს 122 947 ოჯახს შეადგენდა, 2022 წლის მონაცემით სოციალური დახმარების მიმღები 647 738 მოსახლეა, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17,4%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად მზარდი დინამიკით ხასიათდება. მაგალითისთვის, 2007 წელს სოციალური დახმარების მიმღებთა რაოდენობა 279 474 მოსახლეს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობასთან შეფარდებით მიმღებთა ხვედრითი წილი 7,2% იყო (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024). კიდევ უფრო მაღალია სოციალური დახმარების პაკეტის მიღების მსურველთა რაოდენობა. სოციალური სააგენტოს 2024 წლის თებერვლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების რაოდენობა 377 346 ოჯახია (ოჯახების საერთო რაოდენობის 35,2%, რაც 1 215 547 პირს შეადგენს - მოსახლეობის საერთო რაოდენობის 32,6%) ანუ მოსახლეობის მესამედი სოციალური მიზნობრივი პროგრამის მიღების მსურველთა ბაზაშია რეგისტრირებული.

თუ ამ მონაცემებს წლების დინამიკაში შევხედავთ, თვალსაჩინოა, რომ მიზნობრივი სოციალური პროგრამების მიღებისთვის რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა წლიდან წლამდე იცვლება და თუ 2010 წელს რეგისტრირებულთა რიცხვი 1 მილიონ 800 000-მდე აღწევდა, 2017 წელს 1 მილიონ 137 ათასამდე შემცირდა, ხოლო 2018 წელს კი მილიონზე ნაკლები გახდა. 2021 წელს ამ რაოდენობამ კვლავ მილიონს გადააჭარბა და ეს ტენდენცია 2022-2024 წლებშიც მზარდი სტატისტიკით ხასიათდება.

ცხრილი 1. მიზნობრივი სოციალური პროგრამების მიღებისათვის რეგისტრირებულთა სტატისტიკა 2010-2024 წლებში

2010	2011	2012	2032	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
1,779,689	1,697,756	1,639,264	1,675,022	1,646,673	1,627,283	1,520,080	1,137,800	974,324	951,566	922,573	1,020,375	1,097,489	1,182,384	1,215,483



ამ ჭრილში ასევე მნიშვნელოვანია სასკოლო ასაკის პირთა წილის ცვლილებაზე დაკვირვება რეგისტრირებულთა სტატისტიკაში, რომელიც მთლიან სურათში წილობრივი გადანაწილების არაპროპორციულია.

ცხრილი 2. სასკოლო ასაკის დარეგისტრირებულთა წილი საერთო დარეგისტრირებულთა მიმართებით

წელი	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
დარეგისტრირებულთა რაოდენობა	1,779,689	1,697,756	1,639,264	1,675,022	1,646,673	1,627,283	1,520,080	1,137,800	974,324	951,566	922,573	1,020,375	1,097,489	1,182,384	1,215,483
მათ შორის 6-18 წლის პირები	267,847	250,310	241,606	243,664	237,228	236,922	223,603	179,441	162,927	164,835	169,152	194,571	219,314	246,476	259,572
6-18 წლის პირთა წილი	15.1%	14.7%	14.7%	14.5%	14.4%	14.6%	14.7%	15.8%	16.7%	17.3%	18.3%	19.1%	20.0%	20.8%	21.4%


როგორც მონაცემებიდან ჩანს, 6-18 წლის პირთა წილობრივი მაჩვენებელი საერთო დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობასთან მიმართებით, 10-წლიან ჭრილში არ მიჰყვება საერთო ცვლილებათა დინამიკას და 2010-2015 წლებში თითქმის ერთნაირი წილობრივი გადანაწილებით, ხოლო 2015-წლიდან დღემდე კი მუდმივად მზარდი დინამიკით ხასიათდება. ამ მონაცემების სწორი ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რა ტიპის მიზნობრივი პროგრამები ხორციელდება საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რამდენად ხორციელდება ისეთი სოციალური პროგრამები, რომლებიც სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან მიმართებით გამოიყენება და როგორ იცვლებოდა სოციალურ პროგრამაში ჩართვის პირობები სხვადასხვა წელს. ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობრივი ზრდა თავისთავად არ გულისხმობს პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობის პროპორციულ ზრდასაც. მიზნობრივ სოციალურ პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობის ზრდა, თავის მხრივ, ასევე ავტომატურად არ ნიშნავს სოციალური ფონის გაურესებას და დამძიმებას.

მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში რეგისტრირებული პირებისა და ოჯახების რაოდენობასთან ერთად, მაღალია სოციალური დახმარების რეალურად მიმღებთა რაოდენობაც. 450 339 ადამიანია, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს და, შესაბამისად, სოციალური დახმარების მიმღებია სხვადასხვა ოდენობით. ამასთანავე, 260 575 პირია, რომელთაც სარეიტინგო ქულა 70 000-დან 100 000-მდე უფიქსირდება და რომლის ოჯახის წევრიც თუ 16 წლამდე ბავშვია, იღებს 200-ლარიან სოციალურ დახმარებას. 100 000-დან

120 000-მდე სარეიტინგო ქულის მატარებელთა რაოდენობაც საკმაოდ მაღალია, და ამ რეიტინგის მქონე ოჯახებიც 16 წლამდე თითოეულ ბავშვზე იღებენ ორას ლარიან დახმარებას მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში. მთლიანობაში, მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა 648 176 000-ს აღწევს (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023).


აღსანიშნავია, რომ რეგიონების მიხედვით განსხვავებული ვითარებაა სოციალური მიზნობრივი პროგრამების ბაზაში რეგისტრირებულ პირთა რაოდენობის მიხედვით. რაჭა-ლეჩხუმი, გურია და აჭარა ის რეგიონებია, სადაც ყველაზე მაღალია მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში რეგისტრირებულთა ხვედრითი წილი იმავე რეგიონის მთლიან მოსახლეობასთან მიმართებით, ხოლო თბილისში ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია და 20,1%-ს შეადგენს. დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი 1.

გრაფიკი 1. მიზნობრივი სოციალური პროგრამის ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობა რეგიონების მიხედვით რეგიონის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით




მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში დარეგისტრირებული მოსახლეობის და ოჯახების რაოდენობა განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით. მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში მოსახლეობის დიდი ნაწილი დარეგისტრირებულია მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში. არსებული ქალაქებისა და რაიონებიდან მოსახლეობის 50%-ზე მეტია დარეგისტრირებულ 20 მუნიციპალიტეტში, 40%-დან 50%-მდე - 20 მუნიციპალიტეტში, ხოლო 20-დან 40%-მდე - 21 მუნიციპალიტეტში. მხოლოდ 7 ქალაქი და მუნიციპალიტეტია, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 20%-ზე ნაკლებია მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში დარეგისტრირებული. დეტალებისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული გრაფიკი #2.

გრაფიკი 2. მუნიციპალიტეტების რაოდენობა ბაზაში რეგისტრირებულთა პროცენტული შეფარდებით მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან




მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილში მოსახლეობის 80%-ზე მეტია რეგისტრირებული მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში. ასეთი მუნიციპალიტეტებია: ჭიათურა (83,4%) და მესტია(82,6%). მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება აგრეთვე შუახევის, ამბროლაურის, ხულოს, ლენტეხის და სხვა მუნიციპალიტეტები. დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი 3.

გრაფიკი 3. ბაზაში რეგისტრირებულთა მაღალი პროცენტის მქონე მუნიციპალიტეტები



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებისა და რაიონების ნაწილი შედარებით დაბალი (20%-ს ქვევით) ხვედრითი წილით გამოირჩევა სოციალური მიზნობრივი პროგრამების ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის ამავე რაიონისა და ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან შეფარდებით. ასეთია თბილისის შემდეგი რაიონები: ძველი თბილისი, ვაკე-საბურთალო და დიდუბე-ჩუღურეთი. თბილისის რაიონების გარდა, დაბალი მაჩვენებლები აქვთ ქალაქ ქუთაისს, მცხეთას და ფოთს, აგრეთვე ახალქალაქის რაიონს. დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი #4.

გრაფიკი 4. ბაზაში რეგისტრირებულთა დაბალი ხვედრითი წილის მქონე ქალაქები და რაიონები



ქვეყანაში არსებული სოციალური გარემო, ისევე, როგორც ამ გარემოს განსხვავებულობა მუნიციპალიტეტების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, თავის ასახვას ჰპოვებს სასკოლო ასაკის ბავშვების მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში რეგისტრაციის კუთხითაც. ამ თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას მომდევნო ნაწილში განვიხილავთ.


სოციალური დახმარების მიზნობრივ პროგრამაში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის (6-18 წწ) ბავშვები

მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზებში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობაც საკმაოდ მაღალია. 2023-2024 წლის მონაცემით, საქართველოში მთლიანობაში 634 311 მოსწავლე სწავლობს საჯარო თუ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მიზნობრივი სოციალური პროგრამების ფარგლებში სასკოლო ასაკის (6-18 წწ) რეგისტრირებულთა რაოდენობა 128 000-ია, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 20 %-ს შეადგენს¹. მოსწავლეთა რაოდენობით თბილისის ლიდერობს როგორც სოციალურ პროგრამების ბაზაში რეგისტრირებული, ასევე სასკოლო ასაკის მოსწავლეების თვალსაზრისით. თბილისში 225 293 მოსწავლე სწავლობს, რომელთაგან 33826 (15%) მოსწავლე სოციალური პროგრამების ბაზებშია დარეგისტრირებული. დეტალური ინფორმაცია

¹ სასკოლო ასაკის (6-18 წელი) ადამიანების რაოდენობა ყოველთვის არ თანხვდება სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, რადგან სასკოლო ასაკის ადამიანთა ნაწილი შესაძლოა იყვნენ სკოლის მიღმა, თუმცა ეს არ ცვლის საერთო ტენდენციებს, შესაძლოა ცვლიდეს სტატისტიკურად უმნიშვნელოდ არსებულ მონაცემებს.


მოსწავლეთა რაოდენობისა და სოციალური პროგრამების ბაზებში რეგისტრაციის შესახებ მე-5 გრაფიკშია წარმოდგენილი:

გრაფიკი 5. მოსწავლეთა რაოდენობისა და სოციალური პროგრამების ბაზებში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობა რეგიონების მიხედვით




უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა რაოდენობა უფრო მაღალია საქალაქო დასახლებებში, ხოლო სოციალური პროგრამების ბაზებში რეგისტრირებულთა ხვედრითი რაოდენობის მაღალი წილი არასაქალაქო დასახლებებზე მოდის. მაგალითად, საქართველოს სკოლების მოსწავლეთა 52%-ს თვითმმართველი ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი, ფოთი) სკოლის მოსწავლეები შეადგენენ, ხოლო მთელი საქართველოს მასშტაბის სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსწავლეთა ხვედრითი წილი 48%-ია. რაც შეეხება სოციალური პროგრამების ბაზებში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის ბავშვებს, რეგისტრირებულთა მხოლოდ 35%-ია თვითმმართველი ქალაქებიდან, ხოლო 65% - საქართველოს სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდანაა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-6 და მე-7 გრაფიკებში.

გრაფიკი 6.




გრაფიკი 7.



აქვე აღსანიშნავია გეოგრაფიული თავისებურებები, რომლებიც საქართველოს სკოლებთან მიმართებით არსებობს; საქართველოში არსებული 2086 სკოლიდან, 547 მაღალმთიან დასახლებაშია (26.2%), 1064 სასოფლო დასახლებაა (51%) (გარდა მაღალმთიან დასახლებაში არსებული სასოფლო სკოლებისა), 474 კი - საქალაქო დასახლებაში (საერთო რაოდენობის 22.7%), 41 დაბის სკოლიდან, რაც სკოლების საერთო რაოდენობის 2%-ს შეადგენს, დაახლოებით ნახევარი ასევე მაღალმთიან ზონაშია. ამასთან, მაღალმთიან დასახლებაში.


მდებარეობს საქალაქო დასახლებაში არსებული 21 (მაღალმთიან დასახლებაში არსებული სკოლების 3.8% და საქალაქო სკოლების საერთო რაოდენობის 4.4%, ხოლო სასოფლო სკოლების საერთო რაოდენობის თითქმის 33% სკოლა). ეს მონაცემი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებების კონტექსტში, არამედ ლოჯისტიკური თავისებურებებიდან გამომდინარეც.

გრაფიკი 8. სკოლების გეოგრაფიული გადანაწილება დასახლების ტიპისა და მაღალმთიანი ზონის მიხედვით




უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების მიხედვით მკვეთრია განსხვავება მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში რეგისტრირებულთა ხვედრითი წილის თვალსაზრისით. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიის რეგიონებში და შედარებით დაბალია თბილისისა და სამცხე ჯავახეთში. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ გრაფიკი #9.

გრაფიკი 9. სოციალური დახმარების მიზნობრივი პროგრამების ბაზაში რეგისტრირებულ სასკოლო ასაკის ბავშვთა შეფარდება მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან რეგიონების მიხედვით



განსხვავებები ფიქსირდება არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების და/ან რაიონების დონეზე. საქართველოში არის ქალაქები და რაიონები, სადაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან შეფარდებით სოციალურ პროგრამაში რეგისტრირებულთა ხვედრითი წილი ძალიან მაღალია (მაგალითად, გარდაბანი - 50%, ჭიათურა, ბოლნისი, წალკა - 47%) და ქალაქები და რაიონები, სადაც ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალია (ვაკე-საბურთალო - 5%, ქუთაისი - 7%; ძველი თბილისი - 9%). დეტალებისთვის იხილეთ გრაფიკი #10.

გრაფიკი 10. მუნიციპალიტეტები (რესურსცენტრის ტერიტორიები) და ქალაქები მიზნობრივი სოციალური პროგრამების ბაზაში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის ბავშვების დაბალი და მაღალი ხვედრითი წილით



გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კეთილდღეობის კვლევა / რატომ ვერ იკვებებიან ბავშვები სასკოლო საათებში

საქართველოში რომ სოციალური ფონი მძიმეა და მოსწავლეთა დიდი ნაწილი სოციალური პროგრამების ბაზებშია დარეგისტრირებული, ცხადია და დადასტურებულია. არსებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი საკვების დანაკლისს განიცდის (არჩვაძე, 2020). 2016 წლის "გლობალური შიმშილის ინდექსის" კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 118 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზე იმყოფებოდა სრული მოსახლეობის იმ მცირე წილიდან გამომდინარე, რომელიც დღიური კალორიების ნორმას იღებდა (არჩვაძე, 2020). 2016 წელს "კვების ეროვნული კვლევა", რომელიც Oxfam-ის მიერ ჩატარდა, ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარის საკვები მრავალფეროვანია, თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი კვება არააჯანსაღია. ამასთან, ზაფხულშიც კი, მოსახლეობის დიდი ნაწილის რაციონში ვერ ხვდება ხილი, მისი არახელმისაწვდომობიდან, ანუ სიძვირიდან გამომდინარე. პრობლემურია A ვიტამინით და რკინით მდიდარი საკვების მიღება. განსაკუთრებით მცირეა ხორცის მიღების მაჩვენებელი მოხუცებსა და 10-17 წლის ბავშვებს შორის. ბავშვები ნაკლებად მოიხმარენ ბოსტნეულს, ზეთს, რძესა და რძის პროდუქტებს. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდები ასევე არ იღებენ საკმარის წყალს. ამასთან, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი აღნიშნავდა სურსათის ნაკლებობას ოჯახში, ხოლო ყოველი მესამე ოჯახი საუბრობდა სურსათის საყიდლად არასაკმარისი თანხების შესახებ.

მეორე მხრივ, 2023 წლის გლობალური შიმშილის ინდექსის მიხედვით, საქართველო 20 ქვეყნიდან ერთ-ერთია, სადაც შიმშილის ინდექსია „ძალიან დაბალი“ და შესაბამისად, ქვეყნის ქულა >5-ია. ასევე „ძალიან დაბალი“ და >5 ქულა აქვს საქართველოს ბავშვის სიმადლის შეფერხების კატეგორიაშიც. მცირედად უარესია წონის შეფერხების მაჩვენებელი. ამ კატეგორიაში, საქართველოს აქვს >9 ქულა და იმყოფება არა კატეგორიაში „ძალიან დაბალი“, არამედ კატეგორიაში „დაბალი“. საქართველოს ამგვარი პოზიციონირება გლობალური შიმშილის ინდექსში, უდავოდ პოზიტიურ წინსვლად განიხილება. თუმცა, ასევე მიუთითებს სხვადასხვა მეთოდოლოგიის შესაბამისად კონტექსტის ინტერპრეტაციის განსხვავებულ აქცენტებზე.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ერთად 2023 წელს ჩატარებულმა „ბავშვთა კეთილდღეობის კვლევამ“ სკოლის მოსწავლეთა რეალური საჭიროების დასადგენად, სოციალური პროგრამების ნაცვლად საკუთარი სპეციფიკური მეთოდოლოგია გამოიყენა, რომლის საფუძველზეც დადგინდა რეალურად მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების რაოდენობა და მათი რეალური ხვედრითი წილი. ამ მეთოდოლოგიის ფარგლებში „ბავშვის მატერიალური და სოციალური დანაკლისის ინდექსი“ იქნა გამოყენებული, რომლის მიხედვითაც დადგინდა 16 საჭიროება და ჩაითვალა, რომ ბავშვს აქვს დანაკლისი, თუ ფინანსური პრობლემების გამო ოჯახი ვერ ახერხებს ბავშვის უზრუნველყოფას ამ 16-დან სულ მცირე სამი საჭიროებით. აღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, ამ კვლევის მიხედვით, მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონეა მოსწავლეების საერთო რაოდენობის 37,8%. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე მოსწავლეების ხვედრითი წილი განსხვავებულია ქალაქად და სოფლად.

სოფლად მყოფი მოსწავლეების 47,1% განიცდის მატერიალურ და სოციალურ დანაკლისს, ხოლო ქალაქში ეს მაჩვენებელი 31,2% -ს შეადგენს (UNICEF, 2023).

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ სასკოლო საათების განმავლობაში ყოველდღიურად იკვებება მხოლოდ ბავშვების ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (27%). ბავშვების მესამედზე მეტი (34.9%) კი არასდროს იკვებება სასკოლო საათების პერიოდში. მატერიალური და სოციალური დანაკლისის მქონე ბავშვების 44.9% არასდროს იკვებება სასკოლო საათებში, ხოლო იმ ბავშვებს შორის, რომელთაც სოციალური და მატერიალური დანაკლისი არ გააჩნიათ, ეს მაჩვენებელი 28,4%-ს შეადგენს (UNICEF, 2023).

ამ მონაცემების ანალიზი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ნათლად აჩვენებს განსხვავებული მეთოდოლოგიების გამოყენების შემთხვევაში განსხვავებულ აქცენტებს და, შესაბამისად, ერთი მონაცემების განსხვავებული ინტერპრეტაციის არსებობას ერთი და იმავე ქვეყნის შემთხვევაში. ამ მონაცემებიდან კი თვალსაჩინოა, რომ სასკოლო საათების საკვების მიუღებლობის მიზეზი მხოლოდ სოციალური შეჭირვებულობა არ არის და მატერიალური და სოციალური დანაკლისის არმქონე ბავშვები ასევე ვერ იკვებებიან სკოლაში. ამიტომ საინტერესო იყო მოსწავლეთა სასკოლო საათებში კვების დამაბრკოლებელი მიზეზების დადგენა. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევაზე დაფუძნებით, იკვებება რამდენიმე მკაფიოდ გამოსახული ფაქტორი: (1) **ინფრასტრუქტურული პრობლემები**: სკოლაში ან ახლომდებარე ტერიტორიაზე საკვების შექმნისა და მიღების საშუალება არ გააჩნია მოსწავლეების 36,4%-ს. აქედან, სოფლის მოსწავლეების 47.9 პროცენტს და ქალაქის ტიპის დასახლებებში მოსწავლეების 28% (2) **სოციალური შეჭირვებულობა**: მოსწავლეებს 24.1%-ს არ აქვთ საკმარისი თანხა საკვების საყიდლად ან სახლიდან წასახემსებლის წამოსაღებად. სოციალური ან მატერიალური დანაკლისის მქონე მოსწავლეების 37,7%-ს არ აქვს არ აქვთ საკმარისი თანხა საკვების საყიდლად ან სახლიდან წასახემსებლის წამოსაღებად, ხოლო დანაკლისის არმქონე მოსწავლეებში ეს მაჩვენებელი 3,3%-ია. (3) **ხელმისაწვდომი საკვების დაბალი ხარისხი**: მოსწავლეების 38,3%-ს არ მოსწონთ ან არ ენდობიან სკოლაში ან სკოლის სიახლოვეს ხელმისაწვდომ საკვებს. (4) **ჯანსაღი ცხოვრების წესის უგულვებელყოფა და ჯანსაღი კვების კულტურის სიმცირე**, რომელიც გარდაისახება მოსწავლეების 27.4%-ში, რომელთაც სასკოლო საათებში კვების სურვილი არ აქვს. (5) **სხვადასხვა მიზეზი**, რომელთა დაკონკრეტება ვერ ხერხდება, თუმცა სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ ამ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა სასკოლო საათობრივი ბადე და მის შესაბამისად შედგენილი გაკვეთილების ცხრილი, სადაც კვებისთვის არ არის საკმარისი დრო გამოყოფილი. ეს საკითხი გარკვეულწილად დაკავშირებულია მოსწავლეთა გადაჭარბებულ რაოდენობასთან საქალაქო დასახლების სკოლებში, მათ შორის განსაკუთრებით მწვავედ - რამდენიმე სასკოლო ცვლად ფუნქციონირებად საჯარო სკოლებში.

როგორც კვლევიდან ჩანს, სოციალურ-ეკონომიკური ტიპის გამოწვევები მოსწავლეების სასკოლო კვებასთან დაკავშირებული გამოწვევების 24.1%-ს შეადგენს. სასკოლო საათებში საკვების ვერმიღება სხვადასხვა მიზეზს უკავშირდება და, შესაბამისად, სასკოლო კვების დასაწერად მნიშვნელოვანია ყველა პრობლემის კომპლექსური მოგვარება, მათ შორის - სოციალურად შეჭირვებული მოსწავლეების ფინანსური უზრუნველყოფა კვებისთვის. ამასთანავე, სოციალური ფონი, ინფრასტრუქტურული სიტუაცია, სკოლების განლაგება და დემოგრაფია, სასკოლო კულტურა, სასკოლო საათობრივი ბადის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა საქართველოს რეგიონების მიხედვით განსხვავებულია და მიდგომების დიფერენცირებაც პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

სასკოლო კვების მოდელის დანერგვა (სხვადასხვა შეთავაზებული მოდელის მორგება არსებულ გამოწვევებთან და საქართველოს საგანმანათლებლო კონტექსტთან)

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მიმართულებით რეკომენდაცია, რომლებიც სასკოლო კვების პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებული პრობლემების ხასიათიდან გამომდინარეობს და გამიზნულია პროგრამის ამუშავების ხელშეწყობაზე არსებულ გამოწვევებზე რეაგირების საშუალებით. როგორც უკვე აღინიშნა, პრობლემათა სპექტრი მრავალფეროვანია და წარმოშობს განსხვავებული დემოგრაფიის, სოციალური ფონის, ტერიტორიული მდებარეობისა და ინფრასტრუქტურული სხვაობიდან გამომდინარე სასკოლო კონტექსტებს. შემოთავაზებები გარკვეულწილად ეფუძნება ამ მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციათა რეკომენდაციებს და გამოცდილებას, მათ შორის - გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის (CTC), განათლების კოალიციის, ორგანიზაცია „ხმის“, ორგანიზაცია „მშობლები განათლებისთვის“ და აზუსტებს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტსა და მაჩვენებელს.

სასკოლო კვება - ხელმისაწვდომობა და დაფინანსების მოდელი

სასკოლო კვების გადასახადი: ხელფასის 1% (საშემოსავლო გადასახადის ტრანსფორმირება (19+1) მოდელით). ამ მოდელის მიხედვით, საზოგადოება თანხმდება და ითხოვს, რომ მისი გადახდილი საშემოსავლო გადასახადიდან 1% სავალდებულოდ გადაიხადოს სასკოლო კვებაზე (სასკოლო კვების საშემოსავლო გადასახადი). UNICEF-ის კვლევის (2023) მიხედვით, გამოკითხულთა 74% თანახმაა, სასკოლო კვების პროგრამაში საკუთარი კონტრიბუცია შეიტანოს. აგრეთვე ეს პრინციპი აკმაყოფილებს ისეთ პირობებს, რომლებიც ზოგჯერ წინააღმდეგობრივია და გულისხმობს, მაგალითად: საყოველთაობას და თანაბარ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, რესურსების თანაბრად და საჭიროებების შესაბამისად გადანაწილებას, მოქალაქეთა ჩართულობას, გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას, ბიუჯეტის მიზნობრიობასა და ხარჯთეფექტურობას. რეფორმის განსახორციელებლად შესაძლოა წამოიჭრას სამართლებრივი საკითხები, ისევე, როგორც საფინანსო-საშემოსავლო და ფისკალური თვალსაზრისით არსებული სისტემის მოუქნელობის არგუმენტები, თუმცა პოლიტიკური ნების პირობებში ეს საკითხები დაძლევალია.

სასკოლო მხარდაჭერის ნებაყოფლობითი კულტურის ფორმირება და დივერსიფიცირება: ზემოთ შემოთავაზებულ მოდელთან დამატებით შესაძლებელია მშობლებისა და მეურვეების ნებაყოფლობით საფუძველზე, მოსწავლეთა კვების და/ან სასკოლო განათლებასთან დაკავშირებით თანხის დაფარვის განხილვა სპეციალურად გამოყოფილ საბიუჯეტო ხაზზე თანხის შეტანის / გადარიცხვის საშუალებით. ბიუჯეტის ხაზი მხარდაჭერილი უნდა იყოს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, მშობლების კონტრიბუცია არ აისახება მოსწავლეების კვების რაციონის, შემადგენლობის ან შეფუთვის განსხვავებაზე ერთი და იმავე რაონის, სკოლის თუ კლასის შემთხვევაში და, შესაბამისად, არ გამოიწვევს მოსწავლეების გამიჯვნას კვების საფასურის გადამხდელ და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ჯგუფებად, არამედ წაახალისებს ოჯახების თანამონაწილეობას განათლების თანადაფინანსებაში და განავითარებს განათლებაში თანაინვესტირების კულტურას.

სპეციალურ საბიუჯეტო ხაზზე მშობლების მიერ გაღებული თანხა შეიძლება მოხმარდეს როგორც მოსწავლეების კვებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ სურვილებსა და საჭიროებებს, როგორცაა, მაგ. რაციონის გამრავალფეროვნება, სპეციფიკური საკვების უზრუნველყოფა ან სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებისას საკვების უზრუნველყოფა (მაგალითად, მოსწავლეების კვება საკვირაო სკოლისა თუ სხვა კლასგარეშე აქტივობების, მაგ, ექსკურსიებისა და სასკოლო ღონისძიებების ფარგლებში), არამედ, სხვა ტიპის საგანმანათლებლო საჭიროების დაფინანსებასაც, რომელიც არ არის სასკოლო კვებასთან პირდაპირ დაკავშირებული, თუმცა, ამდღეს სასკოლო განათლების ხარისხსა და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას ისეთი მიმართულებებში ინვესტირების საშუალებით, როგორცაა რესურსები, ინფრასტრუქტურა, დამატებითი საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობები და ა.შ. რეალურად, მშობლების / ოჯახების თანაინვესტირება გულისხმობს, ერთი მხრივ, კვების, როგორც საგანმანათლებლო პროცესის ნაწილად ინტეგრირებას სრულად სოციალურ აქტად აღქმის ნაცვლად, ხოლო, მეორე მხრივ კი, სასკოლო განათლების გამრავალფეროვნებას და დამატებითი ფულადი სახსრებით მეტი შესაძლებლობების გაჩენას.

დეჯანდელი მდგომარეობით პოტენციურად მობილიზებული თანხა: საქსტატის მონაცემების მიხედვით, დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში 1300000-ია, საშუალო ნომინალური ხელფასი კი - 2044,50 ლარი თვეში. შესაბამისად, შესაძლებელია წლიური შემოსავლის 318 942 000 ლარის მობილიზება სასკოლო კვებისათვის საშემოსავლო გადასახადიდან. დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდისა და საშუალო ნომინალური ხელფასის ზრდის კვალდაკვალ, პროგრამის ბიუჯეტი გაიზრდება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ამ პროგრამის გასაფართოებლად, მაგალითად კლასგარეშე სასკოლო აქტივობების დაფინანსება, არაფორმალური განათლება სკოლებში, სამუშეო განათლება და ა.შ. ამავე მიდგომის მოდელირება შეიძლება გულისხმობდეს საშემოსავლო გადასახადიდან 1%-ის სასკოლო კვებაზე გადანაწილების ნებაყოფლობას დასაქმებულების განაცხადის საფუძველზე და საჭირო თანხების ბიუჯეტიდან შევსებას.

ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსება: დღეისათვის არსებული დასაქმებულთა რაოდენობისა და საშუალო ნომინალური ხელფასის გათვალისწინებით, ერთ მოსწავლეზე სასკოლო კვებისათვის განსაზღვრული თანხა გამოვა - 560 ლარი წელიწადში საშუალოდ, რაც ერთ მოსწავლეზე, ერთ სასწავლო დღეზე 3,30 ლარს გულისხმობს. შესაძლებელია თანხის გადანაწილება უშუალოდ საკვებსა და კვებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. სხვადასხვა კვლევისა და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შედგენილი მენიუთა ღირებულება განსხვავებულია და მერყეობს 1,56 თეთრიდან 2,5 ლარამდე (UNICEF-ის მიერ შედგენილ მენიუზე დაფუძნებით, ორგანიზაცია „ხმის“ კალკულაცია, CTC-სა და განათლების კოალიციას კვლევების კალკულაცია, 2021). ამავე ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, პროგრამის ლოჯისტიკაზე ხარჯების 30% იხარჯება, ხოლო უშუალოდ საკვების მომზადებაზე - დაახლოებით 70%. აღნიშნულ გაანგარიშებებზე დაყრდნობით წარმოდგენილი ბიუჯეტი საკმარისი იქნება როგორც ლოჯისტიკის, ისე - ადმინისტრირების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და უშუალოდ საკვების დამზადების ხარჯებისთვის. სკოლების გეოგრაფიული განფენილობისა და დასახლების წვდომის განსხვავებების გათვალისწინებით, დაფინანსების გადანაწილების დაბალანსება და კორექტირება ასევე შეიძლება აისახოს საჭიროებაზე დაფუძნებული დაფინანსების თანხის და/ან კატეგორიების მიხედვით განსაზღვრულ დაფინანსებაზე დანამატის განსაზღვრის მეშვეობით.

კერძო სექტორის ჩართულობა

- 1) სასკოლო კვების პროგრამას, მუნიციპალურ დონეზე, დეცენტრალიზებულად, საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელებული შესყიდვების საფუძველზე, სრულად ახორციელებს კერძო სექტორი, კერძოდ, სოფლის მეურნეობის, სურსათისა და კვების სექტორში ჩართული კერძო ბიზნესის წარმომადგენლები;
- 2) 319 მილიონი ლარის ყოველწლიური სახელმწიფო ინვესტირება ხორციელდება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში, რომლის შედეგადაც საქმდება დამატებით 10 000 ადამიანი;

ჯანდაცვის სამინისტროს ჩართულობა

- 1) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს კვების რაციონს და ამ რაციონის შესაბამის განსხვავებული მენიუების შესაძლებლობებს;
- 2) სასკოლო კვება მოიცავს ადგილზე საკვების მომზადებასა და შესაბამისი კვების მიწოდებას მოსწავლეებისთვის ქალაქის და რაიონის ადმინისტრაციული ცენტრებთან არსებულ 515 საჯარო სკოლაში (ქალაქის-474 და ადმინისტრაციულ ცენტრთან არსებული საჯარო სკოლა 41 სკოლა) დაახლოებით 372 000 მოსწავლით - მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 66%;
- 3) სასკოლო კვება გულისხმობს სასოფლო დასახლებების შედარებით მცირეკონტიგენტიანი სკოლებისთვის საკვების „სადილის ყუთით“ / „ლანჩ ბოქსებით“ მიწოდების სამინისტროს მიერ დადგენილი რაციონისა და ნუტრიციული შემადგენლობების სხვადასხვა მენიუს შესაბამისად - 1064 საჯარო სკოლა, დაახლოებით 160 000 მოსწავლით, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 28%;
- 4) ფორტიფიცირებული საკვების მიწოდებას ზამთარში მალალმთიანი მიუვალი სოფლების საჯარო სკოლებში, „სადილის ყუთი“ / „ლანჩ ბოქსები“ შემოდგომასა და გაზაფხულზე - 506 საჯარო სკოლა - 35000 მოსწავლით, მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 6%².

ტრანსპორტირების, ადგილზე დამზადების და ადგილზე კვების შესაბამისი ინფრასტრუქტურა

- 1) სახელმწიფო და კერძო სექტორი თანამონაწილეობით ავითარებენ სატრანსპორტო თუ ადგილზე კვებისათვის შესაბამის ლოჯისტიკურ თუ ინფრასტრუქტურულ მიმართულებებს;
- 2) ახალი სკოლების მშენებლობის ან სრული რეაბილიტაციის პროცესში საკვები ობიექტისა და ადგილის გამოყოფა სავალდებულოდაა გათვალისწინებული;
- 3) არსებულ სკოლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად,

² P.S. მონაცემები შეიძლება შეიცავდეს მცირედ უზუსტობებს და ცდომილებებს, რადგან დაანგარიშებულია სხვადასხვა ბაზიდან და ზოგიერთ შემთხვევაში 2022-2023 წლის მონაცემებიდან, რადგან განახლებული მონაცემების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია (განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ). მიუხედავად შესაძლო ცდომილებისა, ის სტატისტიკურად მნიშვნელოვან და არსობრივ სხვაობას არ იძლევა.

უზრუნველყოფს საკვების მომზადებისა და მოხმარებისთვის შესაბამისი ფართის გამოყოფას;

- 4) შესყიდვაში მონაწილე კერძო სექტორის ვალდებულება შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვაა, რის გამოც სასკოლო კვების პროგრამის ამუშავების საწყის ეტაპზე შეიძლება იყოს გათვალისწინებული გრძელვადიანი შესყიდვა და თანამშრომლობა. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ადგილზე საკვების მომზადება საჭირო გახდება 530 სკოლაში. სხვადასხვა მონაცემით, ფუნქციური ბუფეტი სკოლების 22%-დან 25%-შია (ორგანიზაცია ხმა, 2023, სვანიძე, 2021, კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი, 2021), რაც თანხვედრაშია იმ სკოლების რაოდენობასთან, რომლებიც საქალაქო დასახლებებშია. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება ამ ფუნქციური ბუფეტების სისტემის განახლება და საჭმლის მოსამზადებლად შესაფერისი ინფრასტრუქტურის განვითარება და გამართულ კაფეტერიებად ქცევა;
- 5) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი ფინანსური რესურსის ალოკაცია ტრანსპორტირებისთვის „სადილის ყუთების“ / „ლანჩ ბოქსებისა“ და ფორტიფიცირებული საკვების მიწოდებისას;
- 6) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან, ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის ნორმების დაცვით, შესაბამისი კვებისათვის საჭირო ფართის / ადგილის უზრუნველყოფა (წყალი, ჰიგიენური საშუალები, ღია და დახურულ სივრცეში საკვები ადგილი);
- 7) ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის ნორმების დაცვისათვის რეგულარული აუდიტის უზრუნველყოფა შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მხრიდან, ეკოლოგიური, ბიოდეგრადირებადი შეფუთვის მასალების გამოყენებაზე პასუხისმგებლობის აღება, ანგარიშების საჯაროობისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების გარანტიით.

სასკოლო სასწავლო გეგმა და საათობრივი ბაღე

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან სასკოლო სასწავლო გეგმისა და საათობრივი ბაღის დაგეგმვა, რათა ყველა მოსწავლემ შეძლოს გამოკვება (ცვლები, დიდი შესვენება, საფეხურების მიხედვით შესვენების დროის განსხვავებულად დაგეგმვა და ა.შ.);
- სასკოლო კვების გამოყენება ჯანსაღი კვების, ურთიერთპატივისცემის, ემპათიის და სხვა მნიშვნელოვანი ღირებულებების საზიარებლად, მათ შორის - სასწავლო გეგმის, სახელმძღვანელოების, სადამრიგებლო საათისა და კლასგარეშე აქტივობების ნაწილად ინტეგრირების საშუალებით;
- სასკოლო კვების სასკოლო ცხოვრებისა და კულტურის ნაწილად ქცევა მოსწავლეთა დაგეგმილი სოციალიზაციისა და კლასის მიღმა კომუნიკაციისა და თანაცხოვრების კონტექსტში.

ბიბლიოგრაფია

არჩვაძე თინათინ (2020), არასრულფასოვანი კვების გეოგრაფია, საკონფერენციო

მასალებიდან, <http://conference.sens->

2020.tsu.ge/uploads/5f1423f986909%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%

%97%E1%83%98%E1%83%9C-

%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-

GEO.pdf.pdf

ბრეგვაძე, თ., აფხაზავა, რ. & ღვამიჩავა, რ. (2021) საქართველოში სასკოლო კვების სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება და პერსპექტივები. თბილისი, საქართველო. კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი. ხელმისაწვდომია ბმულზე:

https://drive.google.com/file/d/1_rEUeTtEMMtNRy7GPnFnwBKTTct3WHg_/view

ღიაკონიძე, ა. (2023). მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა საქართველოში:

პროგრამის სოციალური ეფექტი და სიღარიბის დაძლევის პოტენციალი. თბილისი,

საქართველო, სოციალური სამართლიანობის ცენტრი. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:

[https://socialjustice.org.ge/ka/products/miznobrivi-sotsialuri-dakhmarebis-programa-](https://socialjustice.org.ge/ka/products/miznobrivi-sotsialuri-dakhmarebis-programa-sakartveloshi-programis-sotsialuri-efekti-da-sigharibis-dadzlevis-potentsiali)

sakartveloshi-programis-sotsialuri-efekti-da-sigharibis-dadzlevis-potentsiali

მოდრაობა „ხმა“ (2023) უფასო სასკოლო კვების 4 პრინციპი. ხელმისაწვდომია:

<https://www.gezimag.ge/coming-soon-03>

მოდრაობა ხმა. 2022. რა ღირს უფასო სასკოლო კვება? ხელმისაწვდომია

ბმულზე: <https://www.gezimag.ge/post/23-09-2022>

ოქსფამი, (2016), კვების ეროვნული კვლევა საქართველოში,

http://www.bridge.org.ge/uploads/files/docs/85700xfam_Nutrition_Research_ge.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და გაეროს ბავშვთა ფონდი (2023). ბავშვის

მატერიალური და სოციალური დანაკლისი. ხელმისაწვდომია

ბმულზე: [https://www.unicef.org/georgia/ka/ანგარიშები/ბავშვთა-კეთილდღეობა-](https://www.unicef.org/georgia/ka/ანგარიშები/ბავშვთა-კეთილდღეობა-საქართველოში-2023)

საქართველოში-2023

სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებგვერდებიდან:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/59/zogadi-ganatileba> და

<https://ssa.moh.gov.ge/statistiklist.php?lang=1&v=0>

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>

Global Hunger Index 2023, <https://www.globalhungerindex.org/georgia.html>

Svanidze, M.(2021). Rebuilding Education in Georgia. The Infrastructure Challenge in Georgia's School System. GeoWel Research.



ბიულეტენი მოამზადა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის მხარდაჭერით. მასალის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს EWTI-ს, USAID-ის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

www.cciir.ge

FB/CCIIR

cciir.info@gmail.com